საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

№18 / 2016

# „ვფიქრობთ, ამ გზით ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ“

## „ოცნების ქალაქში“ მიგრანტთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაფუძნდა

„ოცნების ქალაქი“ – ასე ჰქვია არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ინიციატივითა და ხელშეწყობით, ე.წ. „ოცნების ქალაქში“ ჩამოყალიბდა. იგი მიგრანტთა უფლებების დაცვასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იმუშავებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოცნების ქალაქის“ მიზანია ხელი შეუწყოს ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტების გააქტიურებას, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას და საკუთარი უფლებების დაცვის საკითხებში მათი ჩართულობის დონის ამაღლებას.

ორგანიზაცია ექვსმა მოქალაქემ დააფუძნა. გენდერული ბალანსი 100%-ით დაცულია - 3 ქალი და 3 მამაკაცი. მას „ოცნების ქალაქის“ ერთ-ერთი მკვიდრი – მარინა ბერიძე უხელმძღვანელებს, რომელიც დასახლებაში მაღალი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს.


მარინა ბერიძე მოქალაქესთან შეხვედრისას

ქალბატონმა მარინამ „ოცნების ქალაქის“ მოსახლეობის პრობლემებსა და ორგანიზაცია „ოცნების ქალაქის“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

„ჩვენთან – „ოცნების ქალაქში“ ჩასახლება 2012 წლიდან დაიწყო, პირველად 2 ოჯახი შემოვიდა, შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, უკვე 6 ოჯახი ჩასახლდა. რამდენიმე თვეში კი 3000 გავხდით. შუქი არ გვქონდა და არანაირი საარსებო პირობა. პატარა „ჯიხურებში“ ვცხოვრობდით და სანთლით ვინათებდით. დღეს „ბარაკები“ ქვის სახლებით შეიცვალა, შუქიც გვაქვს, მაგრამ პრობლემა მაინც მრავლადაა...

ჩვენს დასახლებაში ექვსი კატეგორიის – ეკომიგრანტები, მრავალშვილიანები, მარჩენალ დაკარგულები, მარტოხელა დედები, ომის ვეტერანები და მრავალსულიანი ოჯახები ვცხოვრობთ. ოჯახები, რომლებსაც ყველაზე მეტად გვჭირდება დახმარება.


„ოცნების ქალაქი“

ხშირი ურთიერთობა გვქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“. მათ შემოგვთავაზეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ჩვენც დავთანხმდით. ვფიქრობთ, რომ ამ გზით უფრო ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ.

მინდა, რომ „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები დავიცვა, აქაური ბავშვების მომავალზე – მათ განათლებას და წინსვლაზე ვიზრუნო.

ყოველდღიურად მესმის მშობლების წუხილი, რომ მასწავლებლები უკმაყოფილონი არიან ჩვენი შვილების ცოდნით, ჩვენ კი საშუალება არ გვაქვს რეპეტიტორთან მოვამზადოთო... უსახსრობის გამო ბევრი მეცხრე კლასიდან გამოვიდა და სწავლა აღარ გააგრძელა. არადა, ჩვენს შვილებსაც აქვთ ხელობის ნიჭი, ზოგიერთს ხატვის, ზოგიერთს ცეკვის... საშუალება რომ გვქონდეს, ჩვენი შვილებიც გაიკეთებენ კარიერას და იქნებიან წარმატებულები.

ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურად შეეცდება გრანტების მოპოვებას, რაც საშუალებას მოგვცემს აქაური მცხოვრებლებისათვის შევქმნათ დასაქმების პერსპექტივა.

ერთი კარგი ამბავი უკვე გვაქვს: ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში „ოცნების ქალაქში“ ჰიგიენის სახლის მშენებლობას გეგმავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.“

ჰიგიენის სახლის გამართულ მუშაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ოცნების ქალაქი“ იზრუნებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას დადებითად აფასებს და იმედოვნებს, რომ მათი „მდგომარეობა (განსაკუთრებით ჰიგიენისა და მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობის მიმართულებით) საგრძნობლად გაუმჯობესდება.“

ორგანიზაცია „ოცნების ქალაქის“ წევრი, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი „ოცნების ქალაქის“ მცხოვრები შეიძლება გახდეს, აქტიურად ჩაერთოს ორგანიზაციის საქმიანობაში და გვერდით დაუდგეს დამფუძნებლებს.




### წარმატებული ბენეფიციარი

## სტილისტი ნიგარ ხუჯაძე


ნიგარ ხუჯაძე

„გუშინ პენსიაზე განცხადება დავწერე, ახლახან 60 წლის შევსრულდი. ასაკი ვერ მაშინებს, მე ხომ სილამაზეს ვემსახურები. თანაც არ მიყვარს ხელმოცარული ადამიანები და სულ ვცდილობ, რომ დასაქმებული ვიყო.

რამდენიმე თვის წინ ეკონომიკური მდგომარეობის გამო სამუშაოდ უცხოეთში წავედი, იქ სამი თვის განმავლობაში მოხუცს ვუვლიდი, ანაზღაურება ნორმალური არ იყო, თანაც ჩემს ასაკში შორეულ გზაზე წასვლა ცოტა რთულია და უკან დავბრუნდი.

უცხოეთში წასვლამდე ბავშვობის მეგობართან, ნარგიზ ბერიძესთან ვმუშაობდი, პატარძლებს მანიკურსა და პედიკურს ვუკეთებდი, ასევე ვეხმარებოდი კაბების ჩაცმაში და საქორწინო კუთხის მოწყობაში. ამ საქმეს 20 წელზე მეტია ვემსახურები, მაკრატლის დაჭერა და თმის შეჭრა კი ვიცოდი, მაგრამ ახალი მოდაა, ახალი სტილია და საჭირო იყო ისეთი ცოდნა, რაც თანამედროვეობას დააკმაყოფილებდა. კი ვარ სამოცი წლის, მაგრამ ჩემი საქმე ძალიან მიყვარს და მოვინდომე კვალიფიკაციის ამაღლება.

მეგობარმა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ – შესახებ გაიგო, რომლის ფარგლებში უფასო გადამზადების კურსი გავიარეთ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ .

საინტერესო იყო ჩვენი სწავლის პროცესი. როცა გვერდით გიზის 15-20 წლის ახალგაზრდა და შენ ხარ 60-ის, ამ დროს თავს ისე გრძნობ, რომ თითქოს შენც მათი თანატოლი ხარ. უბრუნდები ახალგაზრდობის წლებს და სიბერე უკან გრჩება. ასაკის გამო პედაგოგიც განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდა მე და ჩემს მეგობარს.

დღეს უკვე პროფესიონალი სტილისტი ვარ და ჩემს „კლიენტებს“ ოჯახში მისვლით ვემსახურები, ზოგიერთი სახლშიც მაკითხავს.

დღეს, მაგალითად ხუთ საათზე რუსთაველის ქუჩის ბოლოში მოლდაველების ოჯახში ვარ დაბარებული ვარცხნილობების გასაკეთებლად. სადაც მივდივარ, ჩემი ინვენტარი ყველგან თან მიმაქვს (თმის სავარცხელი { ჩოთქი} ჯამი, უთო, საშრობი... ), რადგან ზოგიერთს თმის შეღებვა უნდა, ზოგიერთს დასწორება, ზოგიერთს წარბის კორექცია და ასე შემდეგ...

ახლობლის შვილიშვილს აფრიკული ვარცხნილობაც კი გავუკეთე, რომელიც ძალიან ლამაზი გამოვიდა.

სხვადასხვა სახის თმის ვარცხნილობა, ფენით მუშაობა, შეჭრა, დაუთოვება, – ეს ყველაფერი „ახალ ტალღაში“ ვისწავლე, სამ თვეში. იმდენი წელი სალონში ვიყავი და არასდროს მიფიქრია თმა ფენით გამეშრო, ან ლოკონები გამეკეთებინა მოვინდომე და გამომივიდა. ძალიან კმაყოფილი ვარ.

შესაძლებლობა რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით გავივლიდი უფასო გადამზადების კურსებს მზარეულის სპეციალობითაც, რადგან საქორწინო სუფრებსაც ვაფორმებ და კარგი იქნება, თუ ამ მიმართულებითაც თანამედროვე სტილის დიზაინს შევისწავლი. ამის შესახებ მეგობარს გავუმხილე და გაიცინა, ამ სიბერეში რა იდეები გაქვსო, მე კი ვუთხარი რატომაც არა, ბებერი ხომ არ ვარ-მეთქი.

შემოსავლითაც არ ვარ უკმაყოფილო, სადღესასწაულო დღეებში მოთხოვნა უფრო მეტია. სამომავლოდ ვგეგმავ საკუთარი სახლის შეძენას, რომლის პირველ სართულზე სალონს განვათავსებ, ჩემი რძალიც სტილისტია და ორივე ერთად ვიმუშავებთ.

მინდა ყველა მიგრანტს ვუთხრა, რომ „ინტელექტმა“ დიდი შესაძლებლობა მოგვცა, ვიყოთ ჩვენი საქმის პროფესიონალები და ნუ დავკარგავთ ამ შანსს, გამოვიყენოთ!“

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის №18
ტელ: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50;
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge;
ვებგვერდი: www.intellect.org.ge